

**2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება** ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრა

**სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით**

ენაძარაია (კათედრის გამგე), ო.ფურთუხია, მ.შაშიაშვილი, ბ.დოჭვირი, პ.ბაბილუა, ზ.ხეჩინაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

### 2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

### 3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

### 3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

## 4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	დოჭვირი ბ., ტყემალაძე ბ.	ქიმიური კინეტიკის ზოგიერთი ამოცანა, ISBN-978-9941-26-215-9	თბილისი, „უნივერსალი“	162 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნი წარმოადგენს ავტორების სამეცნიერო ნაშრომების კრებულს ქიმიურ კინეტიკაში. ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით აგებულია უნიმოდელური და მულტიმოდელური ქიმიური რეაქციების ალბათური მოდელები. მიღებულია რეაგენტისა და პროდუქტის მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის ცხადი ანალიზური გამოსახულებები. მიღებულია აგრეთვე ფერმენტულ რეაქციაში მიხაელის-მენტენის განტოლების უცნობი პარამეტრების სტატისტიკური შეფასებები.

### 4.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო.ფურთუხია	ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები (მეხუთე გამოცემა), ISBN 978-9941-13-681-8	თბილისი, თსუ გამომცემლობა	562 გვერდი
2	ბაბილუა პ., დოჭვირი ბ.	ალბათობა და სტატისტიკა, ISBN-978-9941-13-669-6	თბილისი, თსუ გამომცემლობა	135 გვერდი

3	ბაბილუა პ., დოქტორი ბ., ნადარაია ე.	სტოქასტური ფინანსური მათემატიკა I, დისკრეტული დრო, ISBN-978-9941-26-252-4	თბილისი, „უნივერსალი“	136 გვერდი
<p style="text-align: center;">ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1. სახელმძღვანელოში სრულად და საფუძვლიანად არის გადმოცემული თანამედროვე ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხები. თითოეულ თემას წამმდგარებული აქვს აუცილებელი თეორიული მასალა, შემდეგ მოყვანილია მრავალი საილუსტრაციო და სამოტივაციო მაგალითი ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან, განხილულია მათი გადაწყვეტის მეთოდები და ხერხები. ასევე მოყვანილია ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. სახელმძღვანელოს დართული აქვს ძირითადი და მნიშვნელოვანი ალბათური განაწილების ცხრილები, EXCEL -ის სტატისტიკური ფუნქციების აღწერა და უკანასკნელ პერიოდში თსუ-ში შუალედურ და ფინალურ გამოცდებზე მოტანილი ბილეთების ნიმუშები. სახელმძღვანელო შედგენილია თსუ-ში ამჟამად მოქმედი სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით.</p> <p>2. გადმოცემულია ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კურსი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მოტანილია თეორიული მასალა და აგრეთვე შუალედური და ძირითადი გამოცდების ნიმუშები, ბილეთები ამოხსნებით. სახელმძღვანელო შეიცავს ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის შედგენილი სილაბუსის მასალას.</p> <p>3. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ფინანსურ მათემატიკაში და შედგება 15 ლექციისგან. მოტანილია დისკრეტული დროის შემთხვევა. გადმოცემულია სტოქასტური ფინანსური მათემატიკის ალბათური საფუძვლები, ევროპული და ამერიკული ტიპის ოფციონების ფასდადების თეორია ბინომური ფინანსური ბაზრის მოდელის შემთხვევაში. მოტანილია აგრეთვე შუალედური და ძირითადი გამოცდების ნიმუშები და ბილეთები ამოხსნებით. წიგნს თან ახლავს სათანადო სილაბუსი. სახელმძღვანელო განკუთვნილია თსუ მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებისათვის.</p>				

**4.3. კრებულები**

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

**4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით**

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლო ბა	გვერდებ ის რაოდენ ობა
1	ბ. მამფორია, ო. ფურთუხია	On functionals of the Wiener process in a Banach space. DOI = {10.1016/j.trmi.2018.07.007}	ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი 172 (2018), # 3, გვ. 420-428	თბილისი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	9 გვერდი
2	ე. ნადარაია, ო.ფურთუხია	Professor Gvanji Mania (1918–1985). DOI = {10.1016/j.trmi.2018.09.001}	ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი 172 (2018), # 3, გვ. 293-298	თბილისი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	6 გვერდი
3	პ. ბაბილუა, ბ. დოჭვირი, ზ ხეჩინაშვილი	On the optimal stopping with incomplete data. DOI: 10.1016/j.trmi.2018.07.006	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute. V. 172, 332-336	Production and Hosting by Elsevier B.V.	5 გვერდი
4	მ. შაშიაშვილი	On the Integral Relationship between the Early Exercise Boundary and the Value Function of the American Put Option <a href="https://doi.org/10.1016/j.trmi.2018.07.003">https://doi.org/10.1016/j.trmi.2018.07.003</a>	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute, Vol.172, Issue 3, Part A, pp.448-452, 2018.	<b>Elsevier B.V.</b>	5 გვერდი
5	Nadaraya E., Babilua P.	On deviations between kernel-type estimators of a distribution density in $p \geq 2$ independent samples. DOI: 10.1080/03610926.2017.1307404	<i>Comm. Statist. Theory Methods</i> <b>47</b> (2018), no. 2, 475-492.	Taylor&Francis	16 გვერდი
6	Nadaraya E., Babilua P.	ON ONE HOMOGENEITY TEST BASED ON QUADRATIC DEVIATIONS BETWEEN KERNEL ESTIMATORS OF A DISTRIBUTION DENSITY IN $p > 2$	Teoriya Veroyatnostei i ee Primeneniya, 63 (2018), pp. 654–658.	Steklov Mathematical Institute	16 გვერდი

		INDEPENDENT SAMPLES  DOI. 10.1137/S0040585X97T9X XXXX			
7	Nadaraya E., Babilua P.	On the homogeneity test based on the kernel-type estimators of a distribution density. DOI: 10.1016/j.trmi.2018.07.	005 <i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i> <b>172</b> (2018), no. 3, part A, 318--331.	A. Razmadze Mathematical Institute	12 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

**1.** ბანახის სივრცეში სტოქასტური ანალიზის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე (ოპერატორულ-მნიშვნელობიანი) ჰერმეტიკი შემთხვევითი პროცესისგან სტოქასტური ინტეგრალის არსებობის დასაბუთება. ვინერის ფუნქციონალის იტოს სტოქასტურ ინტეგრალად წარმოდგენის ამოცანაში ჩვენ ვდგავართ შებრუნებული პრობლემის წინაშე: ჩვენ გვაქვს სტოქასტური ინტეგრალი, როგორც ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე შემთხვევითი ელემენტი და ვეძებთ შესაფერის ჰერმეტიკად ინტეგრანდს. აქ დადებითი შედეგები არსებობს მხოლოდ სპეციალური გეომეტრიის მქონე ბანახის სივრცის ვიწრო კლასისთვის (ე.წ. UMD ბანახის სივრცისათვის). ჩვენ აღნიშნულ პრობლემას ვიხილავთ გაუსის ფუნქციონალისათვის ზოგადი ბანახის სივრცის შემთხვევაში.

**2.** გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსისა და პედაგოგის, ქართული ალბათურ-სტატისტიკური სკოლის ფუძემდებლის, თსუ-ში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დამფუძნებლის, პროფესორ გვანჯი მანიას ბიოგრაფიისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა პროფ. გვანჯი მანიას ძირითად სამეცნიერო რეზულტატებს, რომელთა მნიშვნელოვნება გამოკვეთილია მისი თანამედროვე მსოფლიო დონის მეცნიერების გამონათქვამებში. აღნიშნულია მისი ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ როგორც ქართული სამეცნიერო ცენტრების შექმნასა და ფუნქციონირებაში, ისე ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების საშვილიშვილო საქმეში.

**3.** შემთხვევითი პროცესების ოპტიმალური გაჩერების თეორია არსებითად გამოიყენება სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული ამოცანების გადაწყვეტაში. მაგალითად, საწარმოო პროცესის ოპტიმალური მართვა, ამერიკული ტიპის ოფციონის ფასდადება, სტოქასტური მართვა, ჰიპოთეზების შემოწმება და სხვა. სრული მონაცემების შემთხვევაში ოპტიმალური გაჩერების თეორია სრულყოფილად არის დამუშავებული მარკოვის პროცესებისთვის დისკრეტულ და უწყვეტ დროში. მიღებულია ფასის განტოლებები და ოპტიმალური გაჩერების მომენტის ცხადი სახე. ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი პროცესებისთვის პრობლემა მდგომარეობს ოპტიმალური გაჩერების ამოცანის დაყვანაში სრულად დაკვირვებადი პროცესის ოპტიმალური გაჩერების ამოცანაზე (რედუქციის ამოცანა) და აგრეთვე შესაბამისი ფასების კრებადობის დამტკიცებაში, როდესაც დაკვირვებადი პროცესში შემფოთების მცირე პარამეტრი მიისწრაფვის ნულისკენ. ჩვენს ნაშრომში განხილულია ნაწილობრივ დაკვირვებადი პროცესის კალმან-ბიუსის უწყვეტი მოდელი, გადაწყვეტილია რედუქციის და ფასების კრებადობის ამოცანები, დადგენილია აგრეთვე ფასების კრებადობის რიგიც.

4. სადღეისოდ კარგადაა ცნობილი რომ ამერიკული გაყიდვის ოფციონის ფასის ფუნქცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც გარკვეული არაწრფივი ინტეგრალური ოპერატორის მოქმედების შედეგი ამავე ოფციონის ადრეული აღსრულების საზღვრის ფუნქციაზე. ამასთან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ვოლტერას არაწრფივი ინტეგრალური განტოლების ამონახსნს რომლის ცხადი ანალიზური სახე ვერ მოიძებნა მიუხედავად ბოლო 50 წლის პერიოდის ურიცხვ მკვლევართა მცდელობისა. ჩვენი იდეა მდგომარეობდა ამერიკული ოფციონის ფასის ფუნქციასა და სათანადო ადრეული აღსრულების საზღვარს შორის წრფივი ინტეგრალური თანაფარდობის მოძებნაში. აღმოჩნდა რომ ამერიკული ოფციონის ადრეული აღსრულების საზღვრის ფუნქციის პირველყოფილი მიიღება როგორც მისი ფასის ფუნქციის წრფივი ინტეგრალური გარდაქმნა. ამ თანაფარდობის მეშვეობით შესაძლებელია ავაგოთ უცნობი ადრეული აღსრულების საზღვრის L2-აპროქსიმაცია თუ ხელთ გვაქვს ამერიკული ოფციონის ფასის ფუნქციის თანაბარი აპროქსიმაცია და ამასთან შევაფასოთ მიახლოების ცდომილება.
5. შესწავლილია თანხმობის ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი დამოუკიდებელი შერჩევითა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიღებული შერჩევებს ერთი და იგივე ცნობილი განაწილების კანონი აქვთ. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად აგებულია ახალი ინტეგრალური კრიტერიუმი და მოძებნილია მისი ასიმპტოტური სიმძლავრე, გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ აგებული კრიტერიუმი ასიმპტოტურად მკაცრად გადაუადგილებადია.
6. შესწავლილია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი შერჩევითა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დაკვირვებათა განაწილების კანონი ერთი და იგივეა ყველა სერიისათვის. აგებულია ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ახალი კრიტერიუმი, რომლის სტატისტიკის ზღვართი განაწილება ნორმალურია და ის თავისუფალია უცნობი თეორიული განაწილებისაგან.
7. შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ აგებული (12) ერთგვაროვნების კრიტერიუმის სიმძლავრის ასიმპტოტიკაპიტმანის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

#### 4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ფურთუხია, ო.დლონტი	European option hedging with a nonsmooth payment function. ISSN = {1027-3190}	უკრაინის მათემატიკური ჟურნალი, ტომი 70 (2018), # 6, გვ. 773-787	კიევი, უკრაინის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	15 გვერდი
2	ბ. მამფორია, ო. ფურთუხია	On functionals of the Wiener process in a Banach space. ISSN = {2346-8092}	ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი 172 (2018), # 3, გვ. 420-428	თბილისი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	9 გვერდი

3	ე. ნადარაია, ო. ფურთუხია	Professor Gvanji Mania (1918–1985). ISSN = {2346-8092}	ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტომი 172 (2018), # 3, გვ. 293-298	თბილისი, ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	6 გვერდი
4	ბ. მამფორია, ო. ფურთუხია	About one method of stochastic integral representation of Brownian functional ISSN = {1512-0066}	ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების მოხსენებები, ტომი 32 (2018)	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	4 გვერდი
5	ო. ფურთუხია	Stochastic integral representation of the payoff functions of European exotic type options	„მათემატიკურ მოდელირებასა, ოპტიმიზაციასა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ მე-6 საერთაშორისო კონფერენციის (MMOTI- 2018) მასალები (2018), გვ. 171-174	კომინოვი, გამომცემლობა „ვერიკა“	4 გვერდი
6	პ. ბაბილუა, ბ. დოჭვირი, ზ ხეჩინაშვილი	On the optimal stopping with incomplete data. DOI: 10.1016/j.trmi.2018.07.006	Transactions of A. Razmadze Mathematical Institute. V. 172, 332-336	Production and Hosting by Elsevier B.V.	5 გვერდი
7	ბ. დოჭვირი, ბ. ბაზერაშვილი, გ. ტყემალაძე	On one probabilistic model of bimolecular chemical reaction, ISSN- 0132-1447	Bull.Georgian Nat. Acag.Sci (N.S.) 12 (2018), # 1, 113- 117	თბილისი, მოამბის გამომცემლობა	5 გვერდი
8	დოჭვირი ბ., ტყემალაძე გ., მახაშვილი ქ.	უნიმოდულეკულური ქიმიური რეაქციის ორპარამეტრიანი წრფივი რეგრესიული მოდელი ISSN-1512-0287	საქართველოს საინჟინრო სიახლენი, #1, 2018, გვ. 74-76	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	3 გვერდი
9	დოჭვირი ბ., ტყემალაძე გ., მახაშვილი ქ.	ბიმოდულეკულური ქიმიური რეაქციის სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფასება ISSN- 1512-0287	საქართველოს საინჟინრო სიახლენი, #1, 2018, გვ. 77-80	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა	4 გვერდი



10	ბ. დოჭვირი, გ. ლომინაშ- ვილი, მ. შაშიაშვილი	A Note on the Nonlinear Volterra Integral Equation for the Early Exercise Boundary ISSN 1572-9176	submitted for publication to Georgian Mathematical Journal (Sept.2018)	Walter De Gruyter	9 გვერდი
11	Nadaraya E., Babilua P.	On deviations between kernel-type estimators of a distribution density in $p \geq 2$ independent samples. ISSN 0040-361X	<i>Comm. Statist. Theory Methods</i> <b>47</b> (2018), no. 2, 475--492.	Taylor&Francis	16 გვერდი
12	Nadaraya E., Babilua P.	ON ONE HOMOGENEITY TEST BASED ON QUADRATIC DEVIATIONS BETWEEN KERNEL ESTIMATORS OF A DISTRIBUTION DENSITY IN $p > 2$ INDEPENDENT SAMPLES  ISSN: 0361-0926	Teoriya Veroyatnostei i ee Primeneniya, 63 (2018), pp. 654-- 658.	Steklov Mathematical Institute	16 გვერდი
13	Nadaraya E., Babilua P.	On the homogeneity test based on the kernel-type estimators of a distribution density. ISSN = {2346-8092}	<i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i> <b>172</b> (2018), no. 3, part A, 318-- 331.	A. Razmadze Mathematical Institute	12 გვერდი
14	Nadaraya E., Babilua P.	On deviation between kernel-type estimators of a distribution density in some independent samples.  ISSN 1512-0082	<i>Bull. TICMI</i> <b>22</b> (2018), no. 1, 25--39.	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	15 გვერდი
15					

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩვენ ვსწავლობთ ევროპული ტიპის ოფციონს ფინანსური ბაზრის ბლეკ-შოულსის მოდელში, რომლის გადასახადის ფუნქცია წარმოადგენს ორობითი და აზიური ოფციონების გარკვეულ კომბინაციას და ვიკვლევთ შესაბამის ჰეჯირების პრობლემას. ვინაიდან ჰეჯური სტრატეგიის დადგენის პრობლემა ეკვივალენტურია შესაბამისი გადასახადის ფუნქციის სტოქსტური ინტეგრალური წარმოდგენის პრობლემის, წინასწარ ჩვენ გამოგვყავს კლარკის სტოქსტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულა ინტეგრანდის ცხადი გამოსახულებით. ჩვენ ვიხილავთ გადასახადის ფუნქციას, რომელიც არის კვადრატით ინტეგრებადი, მაგრამ ის და მისი პირობითი მათემატიკური ლოდინი არ არის სტოქსტურად (მალივენის აზრით) დიფერენცირებადი ფუნქციონალი ვინერის პროცესის და ამიტომ ვცდილობთ მივიღოთ კლარკის ინტეგრალური წარმოდგენა არატრადიციული მეთოდების გამოყენებით.

2. ბანახის სივრცეში სტოქსტური ანალიზის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე (ოპერატორულ-მნიშვნელობიანი) ჭკრეტადი შემთხვევითი პროცესისგან სტოქსტური ინტეგრალის არსებობის დასაბუთება.

ვინერის ფუნქციონალის იტოს სტოქასტურ ინტეგრალად წარმოდგენის ამოცანაში ჩვენ ვდგავართ შებრუნებული პრობლემის წინაშე: ჩვენ გვაქვს სტოქასტური ინტეგრალი, როგორც ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე შემთხვევითი ელემენტი და ვემბთ შესაფერის ჭკრეტად ინტეგრანდს. აქ დადებითი შედეგები არსებობს მხოლოდ სპეციალური გეომეტრიის მქონე ბანახის სივრცის ვიწრო კლასისთვის (ე.წ. UMD ბანახის სივრცისათვის). ჩვენ აღნიშნულ პრობლემას ვიხილავთ გაუსის ფუნქციონალისათვის ზოგადი ბანახის სივრცის შემთხვევაში.

**3.** გადმოცემულია გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსისა და პედაგოგის, ქართული ალბათურ-სტატისტიკური სკოლის ფუძემდებლის, თსუ-ში ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დამფუძნებლის, პროფესორ გვანჯი მანიას ბიოგრაფიისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ასპექტები. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა პროფ. გვანჯი მანიას ძირითად სამეცნიერო რეზულტატებს, რომელთა მნიშვნელოვნება გამოკვეთილია მისი თანამედროვე მსოფლიო დონის მეცნიერების გამონათქვამებში. აღნიშნულია მისი ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ როგორც ქართული სამეცნიერო ცენტრების შექმნასა და ფუნქციონირებაში, ისე ახალი სამეცნიერო კადრების მომზადების საშვილიშვილო საქმეში.

**4.** ნაშრომში შესწავლილია ბროუნის ინტეგრალური სახის ფუნქციონალის იტოს სტოქასტურ ინტეგრალურ წარმოდგენაში ინტეგრანდის ცხადი სახის კონსტრუქციების აგების საკითხები, განსხვავებით კლარკის (1970) ცნობილის წარმოდგენისგან, რომელიც ასეთი ინტეგრანდის მხოლოდ არსებობას ამტკიცებდა. ფუნქციონალების განხილული კლასის შემადგენლობაში შედის სტოქასტურად არაგლუვი ფუნქციონალები და ამიტომ შეუძლებელია, ამ მიმართულებით კარგად ცნობილი, კლარკ-ოკონეს (1984) ფორმულის გამოყენება. გარდა ამისა, განხილულ კლასში შედიან ფუნქციონალები, რომელთათვისაც პირობითი მათემატიკური ლოდინიც კი არ არის სტოქასტურად გლუვი და, შესაბამისად, აქ ვერ ვიყენებთ ვერც კლარკ-ოკონეს ფორმულის ჩვენს (2017) განზოგადებას.

**5.** შესწავლილია სხვადასხვა სახის ეგზოტიკური ტიპის ევროპული ოფციონების გადასახადის ფუნქციების, როგორც ვინერის პროცესის ფუნქციონალების საკმაოდ ფართო კლასის, იტოს სტოქასტური ინტეგრალის სახით წარმოდგენის საკითხები, როცა ეს გადასახადის ფუნქციები სტოქასტურად არაგლუვი ფუნქციონალებია და დადგენილია შესაბამისი ინტეგრანდების ცხადი სახე, რაც გირსანოვის ზომის შეცვლის თეორემასთან ერთად წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს ევროპული ოფციონების ოპტიმალური ჰეჯირების პრობლემატიკაში.

**6.** შემთხვევითი პროცესების ოპტიმალური გაჩერების თეორია არსებითად გამოიყენება სხვადასხვა პრაქტიკული და თეორიული ამოცანების გადაწყვეტაში. მაგალითად, საწარმოო პროცესის ოპტიმალური მართვა, ამერიკული ტიპის ოფციონის ფასდადება, სტოქასტური მართვა, ჰიპოთეზების შემოწმება და სხვა. სრული მონაცემების შემთხვევაში ოპტიმალური გაჩერების თეორია სრულყოფილად არის დამუშავებული მარკოვის პროცესებისთვის დისკრეტულ და უწყვეტ დროში. მიღებულია ფასის განტოლებები და ოპტიმალური გაჩერების მომენტის ცხადი სახე. ნაწილობრივ დაკვირვებადი შემთხვევითი პროცესებისთვის პრობლემა მდგომარეობს ოპტიმალური გაჩერების ამოცანის დაყვანაში სრულად დაკვირვებადი პროცესის ოპტიმალური გაჩერების ამოცანაზე (რედუქციის ამოცანა) და აგრეთვე შესაბამისი ფასების კრებადობის დამტკიცებაში, როდესაც დაკვირვებად პროცესში შემფოთების მცირე პარამეტრი მიისწრაფვის ნულისკენ. ჩვენს ნაშრომში განხილულია ნაწილობრივ დაკვირვებადი პროცესის კალმან-ბიუსის უწყვეტი მოდელი, გადაწყვეტილია რედუქციის და ფასების კრებადობის ამოცანები, დადგენილია აგრეთვე ფასების კრებადობის რიგიც.

**7.** ნაშრომში ბიოქიმიური რეაქციის ალბათური მოდელის აგება ორი რეაგენტით დაყვანილია უნიმოლეკულური რეაქციის ალბათური მოდელის აგებაზე. მიღებულია რეაგენტისა და პროდუქტის მათემატიკური ლოდინისა და დისპერსიის ცხადი ფორმები. განხილულია აგრეთვე რიცხვითი მაგალითი.

**8.** აგებულია უნიმოდულური ქიმიური რეაქციის ორპარამეტრიანი წრფივი რეგრესიული მოდელი (რომელშიც ამხსნელი ცვლადებია დრო და ტემპერატურა) დროისა და ტემპერატურის სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის პროდუქტის კონცენტრაციის ცდისეული  $n$  მოცულობის შერჩევის საშუალებით უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით. აგებულია აგრეთვე პროდუქტის კონცენტრაციის დროში ევოლუციის აღმწერი ლოგარითმული მეთოდი.

**9.** უნიმოდულური ქიმიური რეაქციის სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფასებაში გამოყენებულია პირველი რიგის ავტორეგრესიული მოდელი. მოტანილია როგორც რეაგენტის, ასევე პროდუქტის ალბათური მოდელები. ორივე შემთხვევაში აგებულია რეაქციის სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკური შეფასებები.

**10.** ამერიკული ოფციონების თეორიაში ჯაკას[1] ცნობილი შედეგი მდგომარეობს შემდეგში: თუ უცნობი  $b(t)$  ფუნქცია ერთდროულად აკმაყოფილებს ვოლტერას არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას მასში შემავალი  $S$  პარამეტრის არათვლადი რაოდენობა მნიშვნელობებისათვის, მაშინ  $b(t)$  წარმოადგენს ამერიკული ოფციონის ადრეული აღსრულების საზღვრის ფუნქციას. სასრული ვარიაციის ფუნქციების გასწვრივ ლოკალური დროის ცნებისა და ტანაკას ფორმულის განზოგადოებული ვარიანტით პესკირმა[2] კლასიკურ ბლეკ-შოულსის მოდელში აჩვენა რომ თუ უცნობი ფუნქცია  $b(t)$  აკმაყოფილებს ერთ კერძო არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებას, მაშინ ყველა დანარჩენი(არათვლადი რაოდენობა) არაწრფივი ინტეგრალური განტოლებები ავტომატურად კმაყოფილდება! ზოგად ერთგანზომილებიან დიფუზიურ მოდელში ჩვენ ვამტკიცებთ რომ ზემოაღნიშნული იმპლიკაცია პირდაპირი შედეგია პარაბოლურ სობოლევის ფუნქციათა სივრცეში ალექსანდროვის მაქსიმუმის პრინციპისა.

ლიტერატურა

[1] S.D.Jacka, Optimal Stopping and the American Put, Math. Finance, 1, (1991), no 2, pp.1-14.  
 [2] G.Peskir, On the American Option Problem, Math. Finance, 15, (2005), no1, pp.169-181.

**11.** შესწავლილია თანხმობის ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი დამოუკიდებელი შერჩევათა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიღებული შერჩევებს ერთი და იგივე ცნობილი განაწილების კანონი აქვთ. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად აგებულია ახალი ინტეგრალური კრიტერიუმი და მომენბილია მისი ასიმპტოტური სიმძლავრე, გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ აგებული კრიტერიუმი ასიმპტოტურად მკაცრად გადაუადგილებადია.

**12.** შესწავლილია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი შერჩევათა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დაკვირვებათა განაწილების კანონი ერთი და იგივეა ყველა სერიისათვის. აგებულია ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ახალი კრიტერიუმი, რომლის სტატისტიკის ზღვართი განაწილება ნორმალურია და ის თავისუფალია უცნობი თეორიული განაწილებისაგან.

**13.** შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ აგებული (12) ერთგვაროვნების კრიტერიუმის სიმძლავრის ასიმპტოტიკაპიტმანის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.

**14.** აგებულია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი, რომლის შესაბამისი სტატისტიკის ზღვართი განაწილება თავისუფალია თეორიული განაწილებისაგან.

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	---	--------------------------------	---------------------

		ISBN		
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

### 5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

### 5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

### 5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ფურთუხია, ო. დლონტი	European option hedging with a nonsmooth payment function. ISSN = {1027-3190}	უკრაინის მათემატიკური ჟურნალი, ტომი 70 (2018), # 6, გვ. 773-787	კიევი, უკრაინის მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	15 გვერდი
2	ბ. დოჭვირი, გ. ტყემალაძე, ზ. ხეჩინაშვილი	On a Kinetics of Multimolecular Chemical Reaction. ISSN 2229-5518	International Journal of Scientific & Engineering Research. Volume 8, Issue 12, 1030-1033	IJSER Publishing	4 გვერდი

3	ბ. დოჭვირი, გ. ლომინაშვილი, მ. შაშიაშვილი	A Note on the Nonlinear Volterra Integral Equation for the Early Exercise Boundary ISSN 1572-9176	submitted for publication to Georgian Mathematical Journal (Sept.2018)	Walter De Gruyter	9 გვერდი
4	Nadaraya E., Babilua P.	On deviations between kernel-type estimators of a distribution density in $p \geq 2$ independent samples. ISSN 0040-361X	<i>Comm. Statist. Theory Methods</i> <b>47</b> (2018), no. 2, 475--492.	Taylor&Francis	16 გვერდი
5	Nadaraya E., Babilua P.	ON ONE HOMOGENEITY TEST BASED ON QUADRATIC DEVIATIONS BETWEEN KERNEL ESTIMATORS OF A DISTRIBUTION DENSITY IN $p > 2$ INDEPENDENT SAMPLES ISSN: 0361-0926	Teoriya Veroyatnostei i ee Primeneniya, 63 (2018), pp. 654--658.	Steklov Mathematical Institute	16 გვერდი
6	Nadaraya E., Babilua P.	On the homogeneity test based on the kernel-type estimators of a distribution density. ISSN = {2346-8092}	<i>Trans. A. Razmadze Math. Inst.</i> <b>172</b> (2018), no. 3, part A, 318--331.	A. Razmadze Mathematical Institute	12 გვერდი
7	Nadaraya E., Babilua P.	On deviation between kernel-type estimators of a distribution density in some independent samples. ISSN 1512-0082	<i>Bull. TICMI</i> <b>22</b> (2018), no. 1, 25--39.	თბილისი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ჩვენ ვსწავლობთ ევროპული ტიპის ოფციონს ფინანსური ბაზრის ბლეკ-შოულსის მოდელში, რომლის გადასახადის ფუნქცია წარმოადგენს ორობითი და აზიური ოფციონების გარკვეულ კომბინაციას და ვიკვლევთ შესაბამის ჰეჯირების პრობლემას. ვინაიდან ჰეჯური სტრატეგიის დადგენის პრობლემა ეკვივალენტურია შესაბამისი გადასახადის ფუნქციის

სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის პრობლემის, წინასწარ ჩვენ გამოგვყავს კლარკის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ფორმულა ინტეგრანდის ცხადი გამოსახულებით. ჩვენ ვიხილავთ გადასახადის ფუნქციას, რომელიც არის კვადრატით ინტეგრებადი, მაგრამ ის და მისი პირობითი მათემატიკური ლოდინი არ არის სტოქასტურად (მალივენის აზრით) დიფერენცირებადი ფუნქციონალი ვინერის პროცესის და ამიტომ ვცდილობთ მივიღოთ კლარკის ინტეგრალური წარმოდგენა არატრადიციული მეთოდების გამოყენებით.

2. ქიმიური პროცესების აღმწერი მათემატიკური მოდელები იყოფა დეტერმინისტულად და შემთხვევითად. დეტერმინისტული მოდელები წარმოადგენს ნამდვილი ცვლადის ფუნქციებს, სადაც ცვლადის როლში განიხილება დრო და მოდელის ასაგებად გამოიყენება ჩვეულებრივი დიფერენციალური ან ინტეგრალური განტოლებების თეორია. ალბათური მოდელების აგების დროს რეაქციაში მონაწილე ნივთიერების (რეაგენტის) კონცენტრაცია ანუ მოლეკულების რაოდენობა ითვლება შემთხვევით სიდიდედ და პრობლემაა ამ შემთხვევითი სიდიდის განაწილების პოვნა. აგებულია ალბათური მოდელები ერთ და ორ რეაგენტთან ქიმიური რეაქციების შემთხვევებში. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა მრავალრეაგენტური (ორზე მეტი) ქიმიური რეაქციის ალბათური მოდელის აგების ამოცანა. დამტკიცდა, რომ მრავალრეაგენტური ქიმიური რეაქციის მოდელის აგება დაიყვანება მინიმალური კონცენტრაციის მქონე რეაგენტის ყოფაქცევის მოდელის აგებაზე. მიღებულია ამ რეაგენტის დროზე დამოკიდებული მათემატიკური ლოდინის და დისპერსიის ცხადი გამოსახულებები, რომლებიც საშუალებას იძლევა დროის ნებისმიერ  $t \geq 0$  მომენტში განვსაზღვროთ რეაქციის სიჩქარე.

3. ამერიკული ოფციონების თეორიაში ჯაკას[1] ცნობილი შედეგი მდგომარეობს შემდეგში: თუ უცნობი  $b(t)$  ფუნქცია ერთდროულად აკმაყოფილებს ვოლტერას არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას მასში შემავალი  $S$  პარამეტრის არათვლადი რაოდენობა მნიშვნელობებისათვის, მაშინ  $b(t)$  წარმოადგენს ამერიკული ოფციონის ადრეული აღსრულების საზღვრის ფუნქციას. სასრული ვარიაციის ფუნქციების გასწვრივ ლოკალური დროის ცნებისა და ტანაკას ფორმულის განზოგადოებული ვარიანტით პესკირმა[2] კლასიკურ ბლეკ-შოულსის მოდელში აჩვენა რომ თუ უცნობი ფუნქცია  $b(t)$  აკმაყოფილებს ერთ კერძო არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებას, მაშინ ყველა დანარჩენი(არათვლადი რაოდენობა) არაწრფივი ინტეგრალური განტოლებები ავტომატურად კმაყოფილდება! ზოგად ერთგანზომილებიან დიფუზიურ მოდელში ჩვენ ვამტკიცებთ რომ ზემოაღნიშნული იმპლიკაცია პირდაპირი შედეგია პარაბოლურ სობოლევის ფუნქციათა სივრცეში ალექსანდროვის მაქსიმუმის პრინციპისა.

#### ლიტერატურა

[1] S.D.Jacka, Optimal Stopping and the American Put, Math. Finance, 1, (1991), no 2, pp.1-14.

[2] G.Peskir, On the American Option Problem, Math. Finance, 15, (2005), no1, pp.169-181.

4. შესწავლილია თანხმობის ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი დამოუკიდებელი შერჩევათა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიღებული შერჩევებს ერთი და იგივე ცნობილი განაწილების კანონი აქვთ. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად აგებულია ახალი ინტეგრალური კრიტერიუმი და მოძებნილია მისი ასიმპტოტური სიმძლავრე, გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის. ნაჩვენებია აგრეთვე, რომ აგებული კრიტერიუმი ასიმპტოტურად მკაცრად გადაუადგილებადია.

5. შესწავლილია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების პრობლემა მრავალი შერჩევათა სერიის შემთხვევაში: საჭიროა შემოწმდეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დაკვირვებათა განაწილების კანონი ერთი და იგივეა ყველა სერიისათვის. აგებულია ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ახალი კრიტერიუმი, რომლის სტატისტიკის ზღვართი განაწილება ნორმალურია და ის თავისუფალია უცნობი თეორიული განაწილებისაგან.

6. შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ აგებული (12) ერთგვაროვნების კრიტერიუმის სიმძლავრის ასიმპტოტიკაპიტმანის ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის.
7. აგებულია ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი, რომლის შესაბამისი სტატისტიკის ზღვართი განაწილება თავისუფალია თეორიული განაწილებისაგან.

## 6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ო.ფურთუხია	არგუმენტების სხვაობის ვინერის ფუნქციონალის ინტეგრალური წარმოდგენა	12-15 თებერვალი, 2018, თბილისი, მეექვსე ყოველწლი- ური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში <a href="http://conference.ens-2018.tsu.ge">http://conference.ens-2018.tsu.ge</a>
2	ბ.მამფორია, ო.ფურთუხია	ბროუნის ფუნქციონალის სტოქასტური ინტეგრალური წარმოდგენის ერთი მეთოდის შესახებ	18-20 აპრილი, 2018, თბილისი, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXII საერთაშორისო გაფართოებულ სხდომები <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2018">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2018</a>
3	ბ.მამფორია, ო.ფურთუხია	The Ito formula for the Ito processes driven by the cylindrical Wiener process in a Banach space	15-19 ივლისი, 2018, თბილისი, პროფ. გვანჯი მანიას დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში <a href="http://mania-100-tbilisi-2018.tsu.ge">http://mania-100-tbilisi-2018.tsu.ge</a>
4	ბ.მამფორია, ო.ფურთუხია	The Ito formula for the Ito processes driven by the cylindrical Wiener process in a Banach space	15-19 ივლისი, 2018, თბილისი, პროფ. გვანჯი მანიას დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში <a href="http://mania-100-tbilisi-2018.tsu.ge">http://mania-100-tbilisi-2018.tsu.ge</a>
5	Duduchava R., Purtukhia O.	100 Years of Alma Mater	3-8 სექტემბერი, 2018, ბათუმი- თბილისი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია <a href="http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html">http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html</a>
6	ე.ნადარაია, ო.ფურთუხია	პროფესორი გვანჯი მანია - 100	3-8 სექტემბერი, 2018, ბათუმი- თბილისი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-9 საერთაშორისო

			კონფერენცია <a href="http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html">http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html</a>
7	ო.ფურთუხია	The martingale approach in the problem of the stochastic integral representation of functionals	3-8 სექტემბერი, 2018, ბათუმი-თბილისი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მე-9 საერთაშორისო კონფერენცია <a href="http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html">http://www.gmu.ge/Batumi2018/ENG/index.html</a>
8	Purtukhia O.	Constructive stochastic integral representation of Wiener functional	International Conference «Stochastic Equations, Limit Theorems and Statistics of Stochastic Processes», dedicated to the 100th anniversary of I.I.Gikhman September 17-22, 2018, Kyiv, Ukraine <a href="http://matan.kpi.ua/gikhman100conf">http://matan.kpi.ua/gikhman100conf</a>
9	Tadumadze T., Purtukhia O.	Mathematics at TSU	September 19-21, 2018, Tbilisi, Georgia, The Third International Conference "MODERN PROBLEMS IN APPLIED MATHEMATICS" Dedicated to the Centenary of I.Javakhishvili Tbilisi State University (TSU) & 50th Anniversary of I.Vekua Institute of Applied Mathematics (VIAM) <a href="http://www.viam.science.tsu.ge/mpam2018/">http://www.viam.science.tsu.ge/mpam2018/</a>
10	ო.ფურთუხია	კლარკ-ოკონეს ფორმულის ერთი განზოგადების შესახებ	26, 27 სექტემბერი, 2018, თბილისი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი თბილისის მეცნიერებებისა და ინოვაციების 2018-წლის ფესტივალი
11	Purtukhia O.	Ivane Javakhishvili Tbilisi State University	October 1-15, 2018, Batumi, Georgia, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian Summer School on Quantitative Risk Management
12	Purtukhia O.	Stochastic integral representation of Wiener functionals	October 1-15, 2018, Batumi, Georgia, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian Summer School on Quantitative Risk Management
13	Shashiashvili M., Purtukhia O.	Risk Factors and Loss Distributions	October 1-15, 2018, Batumi, Georgia, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian Summer School on Quantitative Risk Management
14	Purtukhia O.	Wiener process and the stochastic integral of Ito	October 1-15, 2018, Batumi, Georgia, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian Summer School on Quantitative Risk Management
15	დოჭვირი ბ., ხეჩინაშვილი ზ., ჯაოშვილი ვ.	ბიოქიმიური რეაქციის ერთი ალბათური მოდელის შესახებ.	თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტ-



			ტეტის, მათემატიკის დეპარტამენტის მეექვსე ყოველწლიური კონფერენცია, 2018.
16	ბაბილუა პ., დოჭვირი ბ., ჯაოშვილი ვ.	მულტიმოლეკულური ქიმიური რეაქციის სიცოცხლის ხანგრძლივობის სტატისტიკური შეფასება.	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომები. 18-20 აპრილი, 2018.
17	დოჭვირი ბ., ხეჩინაშვილი ზ., ჯაოშვილი ვ.	ოპტიმალური გაჩერების ამოცანა არასრული მონაცემებით.	პროფესორ გვანჯი მანიას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში. ივლისი 16-18, თბილისი, 2018.
18	ბაბილუა პ., დოჭვირი ბ., ხეჩინაშვილი ზ.	ოპტიმალური გაჩერება არასრული მონაცემებით კალმან-ბიუსის სქემაში.	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IX ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი, 3-7 სექტემბერი, 2018.
19	Malkhaz Shashiashvili	On the Integral Relationship between the Early Exercise Boundary and the Value Function of the American Put Option	International Conference on Probability Theory and Mathematical Statistics Dedicated to 100 <sup>th</sup> Anniversary of Professor Gvanji Mania, Abstracts, July 16-18, 2018, Tbilisi, Georgia.
20	Malkhaz Shashiashvili	Value at Risk (VaR) and Expected Shortfall.	Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian Summer School on Quantitative Risk Management, 1-15 October, 2018, Batumi, Georgia.
21	ზაზა ხეჩინაშვილი	საშუალო კვადრატული აზრით ოპტიმალური პროგნოზირება ფინანსურ სქემებში დარღვევის მომენტით.	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებულ სხდომები. 18-20 აპრილი, 2018.

22	ელიზბარ ნადარაია, პეტრე ბაბილუა	რეგრესიის ფუნქციის გულოვანი შეფასების საშუალებით odd- ratio-ს შეფასების შესახებ	<i>თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 12-15 თებერვალი, 2018 წელი.</i>
23	ელიზბარ ნადარაია, პეტრე ბაბილუა	განაწილების სიმკვრივის ვოლვერტონ-ვაგნერის შეფასების შესახებ	<i>თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 12-15 თებერვალი, 2018 წელი.</i>
24	ელიზბარ ნადარაია, პეტრე ბაბილუა	ბერნულის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის (გმი) სემინარის XXXII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 18-20 აპრილი, 2018
25	ელიზბარ ნადარაია, პეტრე ბაბილუა	ერთგვაროვნების ერთი კრიტერიუმის შესახებ	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IX საერთაშორისო კონფერენცია ბათუმი-თბილისი 3-8 სექტემბერი
26	ელიზბარ ნადარაია, პეტრე ბაბილუა	ვოლვერტონ-ვაგნერის ტიპის შეფასებაზე დაფუძნებული თანხმობის ზოგიერთი კრიტერიუმი განაწილების სიმკვრივისათვის	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IX საერთაშორისო კონფერენცია ბათუმი-თბილისი 3-8 სექტემბერი
27	Nadaraya E., Babilua P.	On some goodness-of-fit tests based on Wolverton-Wagner type estimates of distribution	International Conference on Probability Theory and Mathematical Statistics Dedicated to 100 <sup>th</sup> Anniversary of Professor Gvanji Mania, Abstracts, July 16-18, 2018, Tbilisi, Georgia.
28	Nadaraya E., Babilua P.	On Some Goodness-of-Fit Tests Based on Wolverton-Wagner Type Estimates of Distribution Density	THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE „MODERN PROBLEMS IN APPLIED MATHEMATICS“ Dedicated to the Centenary of I. Javakhishvili Tbilisi State University and 50th Anniversary of I. Vekua Institute

			of Applied Mathematics September 19-21, 2018 I. Vekua Institute of Applied Mathematics of Iv. Javakhishvili Tbilisi State University (TSU) University St. 2, Tbilisi, Georgia
<p>მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)</p> <p>„Risk Factors and Loss Distributions“ ეხებოდა ფასიან ქაღალდთა პორტფელის ღირებულების განმსაზღვრელ რისკ-ფაქტორთა ვექტორს და ფიქსირებულ დროის პერიოდში პორტფელის დანაკარგის ალბათურ განაწილებას და მის მათემატიკურ ანალიზს. ამასთან რისკ ფაქტორთა როლში განიხილებოდა აქციათა ლოგარითმული ფასები და ლოგარითმული სავალუტო გაცვლითი კურსები. მოხსენებაში შესწავლილ იქნა ე.წ. დანაკარგის ოპერატორი და მისი მეშვეობით ნაჩვენები იქნა თუ როგორ გამოითვლება პორტფელის დანაკარგის უპირობო და პირობითი განაწილებები.</p> <p>„Ivane Javakhishvili Tbilisi State University“ ეხებოდა როგორც საკუთრივ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას, ასევე მის შემდგომ განვლილ გზას და ადგილს საქართველოს და მსოფლიოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე მიმოხილული იყო როგორც საქართველოში არსებული, ისე საზღვარგარეთ მოქმედი ქართული სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრების ისტორია.</p> <p>„Stochastic integral representation of Wiener functionals“ ეხებოდა ვინერის პროცესის ფუნქციონალების იტოს სტოქასტური ინტეგრალის სახით წარმოდგენის საკითხებს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ზოგადად შემთხვევით პროცესთა თეორიაში და სტოქასტურ აღრიცხვაში, ისე გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე სტოქასტურ ფინანსურ მათემატიკაში. მიმოხილული იყო როგორც ამ მიმართულებით არსებული შედეგები, ისე წარმოდგენილი იყო ახალი მიდგომები და ახალი შედეგები სტოქასტურად არაგლუვი ფუნქციონალების ფართო კლასისათვის.</p> <p>„Wiener process and the stochastic integral of Ito“ ეხებოდა უწყვეტტრაექტორიებიანი შემთხვევითი პროცესების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის -- ვინერის პროცესის განმარტებას, არსებობასა და თვისებებს. გარდა ამისა, გადმოცემული იყო იტოს სტოქასტური ინტეგრალის კონსტრუქცია, ახსნილი იყო რა განხვავებებია ლებეგ-სტილიტიესისა და იტოს სტოქასტურ ინტეგრალს შორის, რითაც აიხსნება ახალი წევრის (ე.წ. იტოს ეფექტის) გამოჩენა ცვლადის შეცვლის წესში.</p> <p>„Value at Risk (VaR) and Expected Shortfall“ ეხებოდა ფინანსური რისკების ორ ყველაზე გავრცელებულ მახასიათებელს. მოცემული მნიშვნელოვნობის დონის შესაბამისი დანაკარგის ოდენობა განისაზღვრება როგორც დანაკარგის ალბათური განაწილების მოცემული მნიშვნელოვნობის დონის სათანადო კვანტილი, ხოლო მოსალოდნელი დეფიციტი განისაზღვრება როგორც დანაკარგის პირობითი მათემატიკური ლოდინი იმ პირობაში რომ დანაკარგმა გადააჭარბა აღნიშნულ კვანტილს. განხილული იყო რისკის ამ ორი მახასიათებლის მათემატიკური თვისებები.</p>			

**6. 2. უცხოეთში**

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	<b>Purtukhia O.</b>	Constructive stochastic integral representation of Wiener functional	September 17-22, 2018, Kyiv, Ukraine, International Conference «Stochastic Equations, Limit Theorems and Statistics of Stochastic Processes», dedicated to the 100th anniversary of I.I.Gikhman <a href="http://matan.kpi.ua/gikhman100conf">http://matan.kpi.ua/gikhman100conf</a>
2	<b>Purtukhia O.</b>	Stochastic integral representation of the payoff functions of European exotic type options	November 12-16, 2018, Chisinau, Moldova, The 6th International Scientific Conference "Mathematical Modeling, Optimization and Information Technologies (MMOTI-

			2018)" <a href="http://usm.md/?p=20613&amp;lang">http://usm.md/?p=20613&amp;lang</a>
3	Purtukhia O.	Conditional mathematical expectation	November 12-16, 2018, Chisinau, Moldova, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian School <a href="http://fmi.usm.md/index.php/node/353">http://fmi.usm.md/index.php/node/353</a>
4	Purtukhia O.	Elements of stochastic calculus	November 12-16, 2018, Chisinau, Moldova, Norwegian-Georgian-Moldavian-Ukrainian School <a href="http://fmi.usm.md/index.php/node/353">http://fmi.usm.md/index.php/node/353</a>
5	Khechinashvili Z.	Financial Models with Gaussian Martingale, Forecasting and Hedging.	Statistics Seminar of Department of Mathematics and Statistics, San Diego State University, USA, February 9, 2018.
6	Nadaraya E., Babilua P.	ABOUT ONE GOODNESS-OF-FIT TEST	International Conference «Stochastic Equations, Limit Theorems and Statistics of Stochastic Processes» dedicated to the 100th anniversary of I.I. Gikhman September 17-22, 2018, Kyiv, Ukraine

მოსხენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოსხენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

„Conditional mathematical expectation“ ეხებოდა ხდომილების ალბათობისა და შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინის ცნებების ისეთ მნიშვნელოვან განზოგადებებს როგორცაა პირობითი ალბათობა და მათემატიკური ლოდინი დაყოფისა და სიგმა ალგებრების მიმართ, რაც , ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა პირობითი ალბათობა განმარტებული იქნას მაშინაც კი როცა პირობაში გვაქვს ნული ალბათობის მქონე ხდომილება და მეორე მხრივ, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს ე. წ. ნაწილობრივ დაკვირვებად სქემებში საშუალო კვადრატული აზრით საუკეთესო შეფასებების ასაგებად.

„Elements of stochastic calculus“ ეხებოდა სტოქასტური აღრიცხვის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების მიმოხილვას როგორცაა ვინერის პროცესი, იტოს სტოქასტური ინტეგრალის კონსტრუქცია და თვისებები, დიფუზიური პროცესი, სტოქასტური დიფერენციალის ცნება და იტოს ფორმულა, სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ცნება, ძლიერი და სუსტი ამოხსნები.

„Financial Models with Gaussian Martingale, Forecasting and Hedging“ -- განხილულია ფინანსური ბაზრის მოდელები დისკრეტულ დროში, რომლებშიც რისკიანი აქტივების ფასის ევოლუცია აღწერილია გაუსის მარტინგალის საშუალებით. მიღებულია საშუალო კვადრატული აზრით ოპტიმალური პროგნოზის გამოსახულებები, ასევე ევროპული ტიპის ოფციონებისთვის მაქვეჩირებელი სტრატეგიების ფორმულები.

“ABOUT ONE GOODNESS-OF-FIT TEST”- მოძებნილია ვოლვერტონ-ვაგნერის განაწილების სიმკვრივის ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვართი განაწილების კანონი, მის საფუძველზე აგებულია თანხმობის კრიტერიუმი და მოძებნილია მისი ასიმპტოტური სიმძლავრე გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის და შედარებულია ზოგიერთ ცნობილ კრიტერიუმთან.

### სხვა აქტივობები:

1) კათედრის თანამშრომლებმა 2018 წელს მოიპოვეს სამწლიანი საერთაშორისო გრანტი: **ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (ნმტი, NTNU)**, ტრონდჰეიმი, ნორვეგია პროექტის CPEA-LT-2016/10003 GRANT CPEA-LT-2016 / 10003 "გლობალური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ცვლილებების მიხედვით კვლევის საფუძველზე განათლებისა და მომსახურების სფეროში რისკების მართვის თანამედროვე კოლაბორაციული პროგრამა: გაფართოებული ვერსია", გრანტი #1649.

#### პროექტის ძირითადი ამოცანებია:

- ნორვეგია-უკრაინა-ევრაზიის საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის ორგანიზაცია რაოდენობრივი რისკების მართვის სფეროში და მათთან დაკავშირებულ საკითხებში, მაგ. რისკისა და გაურკვევლობის შემთხვევაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მხარდაჭერა;

- უკრაინის, მოლდოვის, საქართველოსა და ნორვეგიის უნივერსიტეტების მდგრადი კავშირის შემუშავება, რომელიც შეძლებს როგორც სამაგისტრო ისე სადოქტორო დონეზე ერთობლივი პროგრამებისა და კურსების შემუშავებას და გაშვებას რაოდენობრივი რისკების მართვის სფეროში.

პროექტის კოორდინატორი: ელიზბარ ნადარია;

პროექტის თანახელმძღვანელი: ომარ ფურთუხია;

პროექტის მონაწილეები: მალხაზ შაშიაშვილი, პეტრე ბაბილუა.

2) გრძელდებოდა 2017 წელს მოპოვებული საერთაშორისო გრანტი (2017-2021) -- დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი # 93581 – „საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. პროგრამის თემატიკა მოიცავს: ალგებრულ ტოპოლოგიას, ფურიეს ანალიზს, რიცხვით ანალიზს, კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებებს, სტოქასტურ ანალიზსა და ფინანსურ მათემატიკას. პროგრამის ძირითადი პერსონალის შემადგენლობაში არიან მალხაზ შაშიაშვილი და ომარ ფურთუხია (<http://mathphd.tsu.ge/pages/programperson.html>).

3) თსუ დოქტორანტ ალექსანდრე სბორშიკოვის სადისერტაციო ნაშრომის თანახელმძღვანელი: ელიზბარ ნადარია, რეცენზენტი: პეტრე ბაბილუა.

